საერთაშორისო არქიტექტურული სემინარები „SoEas+y უკვე ვარკეთილში!

თუ ხართ არქიტექტურის ფაკულტეტის სტუდენტი, ან ამ სფეროს კურსდამთავრებული ან უბრალოდ ქალაქის სტრუქტურასა და ცხოვრების ხარისხში დაინტერესებული პირი განაცხადეთ არქიტექტურულ სემინარ SoEas+y-ში მონაწილეობაზე, რომელიც ჩატარდება ვარკეთილში 2016 წლის 6-9 ნოემბერს.

სემინარებს ჩაატარებს პოლონელი არქიტექტორებისგან შემდგარი ჯგუფი +48 განვითარების პოლიტიკის ფონდთან და პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით: თბილისის მედიათეკების გაერთიანება, ევროპა ჩვენი სახლი, პარტიზანული მებაღეობა, საქართველოს ეზიდთა სახლი და ახალგაზრდა ჰუმანისტთა გაერთიანება.

სემინარებში მონაწილეობა უფასოა. არქიტექტურული სამუშაო დაუფუძნება იმ შეტყობინებებს და პრობლემებს, რომელიც განთავსებულია ვებგვერდზე www.lamazikalaki.org.

შეტყობინებებით შემოსული ადგილები გახდება არქიტექტურული სემინარების გასვლის პუნქტები. ერთობლივად მოხდება საზოგადოებრივი სივრცის დაპროექტება, რაც წარმოადგენს განსაზღვრული პრობლემების მიმართ არქიტექტურულ პასუხისმგებლობას.

კანდიდატებმა უნდა გადმოაგზავნონ საკუთარი პორტფოლიო მოკლე ინფორმაციით და CV შემდეგ ელ-ფოსტაზე: soeas+y@fpr.org.pl

პროექტის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ: www.soeasty.eu www.lamazikalaki.eu

დაუკავშირდით პრეოქტის კოორდინატორ ლელა ფოცხვერაშვილის ელ-ფოსტაზე: lela_po@hotmail.com

პარტნიორების შესახებ

+48 არქიტექტურული ჯგუფი

გუნდი 2016 წლიდან მუშაობს ფართო სპექტრის პროექტებზე და დაპროექტებასთან დაკავშირებულ აქტივობებზე. საქმიანობის სფერო არქიტექტურას, ინტერიერის დიზაინსა და დაგეგმარებას მოიცავს. ამას გარდა, გუნდის წევრები პრომოუშენსა და ჟურნალისტურ საქმიანობასაც ეწევიან. ამასთან, გუნდი აპროექტებს საბავშვო ვორკშოპებს და ცდილობს იყოს აქტიურად ჩართული პოლონეთის საზოგადოებრივი სივრცის და არქიტექტურული მდგომარეობის დისკუსიებში.

ჯგუფის ძირითად ბირთვს ვარშავის ტექნიკური უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ახალგაზრდა არქიტექტორები წარმოადგენენ: აგატა ფილიპეკი (არქიტექტურის მაგისტრი. 2006),კაროლ სპარკოვსკი (არქიტექტურის მაგისტრი 2006), კამილ მიკლაზევსკი (არქიტექტურის მაგისტრი 2004).

The project is co-financed by Solidarity Found "Support to Democracy Program 2016", within the framework of the Polish development cooperation program of the Ministry of Foreign Affairs of Poland.

განვითარების პოლიტიკის ფონდი

ორგანიზაცია ფუნქციონირებს ვარშავაში და მუშაობს ადგილობრივ თვითმართველობისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართულებით, ასევე ახორციელებს პროექტებს შეზღუდულ შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციის (საქართველო, ბელორუსი), საზოგადოებრივი სივრცის მოწყობის ხარისხის (გოლაია-პრისტანი, უკრაინა, კომაროვო, ბელარუსი, ტუნისი) და სხვა სფეროში.

თბილისის მედიათეკების გაერთიანება

"თბილისის მედიათეკების გაერთიანება" საჯარო ბიბლიოთეკების თანამედროვე ტიპია, რომლის ფონდებიც შეიცავს სხვადასხვა ტიპის წიგნებსა და დოკუმენტაციას: ბეჭდურს, ელექტრონულს და მულტიმედიურს. „თბილისის მედიათეკების გაერთიანება" თბილისის მერიის ინიციატივით დაარსდა. ამჟამად ფუნქციონირებს ორი ფილიალი ვარკეთილსა და ვაკეში. ამ დროისათვის ფუნქციონირებს ორი ფილიალი ვაკესა და ვარკეთილში. ორივე შენობა ამავე უბნების პარკებშია განთავსებული და 2000-მდე წევრს აერთიანებს. სტატისტიკის მიხედვით ბიბლიოთეკაში ყოველთვიურად 100-მდე ადამიანი წევრიანდება.
„თბილისის მედიათეკების გაერთიანებამ" თავისი ხანმოკლე ფუნქციონირების მიუხედავად საკმაო პოპულარობას მიაღწია, რადგან ბიბლიოთეკისა და საზოგადოებრივი ცენტრის კომბინაცია წარმატებული ინიციატივაა, რაც ხელს უწყობს სამოქალაქო საზოგადოების ცოდნისა და განათლების დონის ამაღლებას და მათ ჩართულობას საგანმანათლებლო და კულტურულ პროცესებში, ეს ყოველივე კი ქვეყნის განვითარებისა საწინდარია.

ევროპა ჩვენი სახლი

ორგანიზაცია რომელიც კვლევებზეა ორიენტირებული დაფუძნდა 2011 წელს. ის თავს უყრის მეცნიერებს და მკვლევარებს როგორც საქართველოდან, ასევე ევროპის ქვეყნებიდან. იგი ხელს უწყობს ევროპული ფასეულობების დანერგვას საქართველოში და მოიცავს პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და უსაფრთხოების საკითხებს. ორგანიზაცია აქტიურად მუშაობს გეოპოლიტიკურ და გლობალური უსაფრთხოების საკითხებზე; ახორციელებს კვლევით და საგანმანათლებლო პროექტებს.

საქართველოს ეზიდთა სახლი

საქართველოს ეზიდთა სახლი არის ეზიდური კულტურის ცენტრი, რომელიც ეზიდურ ტაძართან ფუნქციონირებს 2011 წ. და არაერთი კულტურული და საგანმანათლებლო

The project is co-financed by Solidarity Found "Support to Democracy Program 2016", within the framework of the Polish development cooperation program of the Ministry of Foreign Affairs of Poland.

ღონისძიება აქვს ჩატარებული. ეზიდთა სახლში ფუნქციონირებს მშობლიური ენის, ისტორიისა და რელიგიის შემსწავლელი კურსები, ასევე საცეკვაო ჯგუფი. ტარდება ახალგაზრდული ღონისძიებები, პოეზიის საღამოები და შეხვედრები ცნობილ ხალხთან.

პარტიზანული მებაღეობა

პარტიზანული მებაღეობა არის თავისუფალ მოქალაქეთა ერთობა, რომელიც იყენებს სოციალურ ქსელს სამომავლო აქტივობების, მათ შორის, საპროტესტო აქციებისა და პეტიციების დაგეგმვისთვის. მოძრაობა ახორციელებს აქტივობებს ქალაქის გამწვანებასთან, კეთილმოწყობასა და საზოგადოებრივ სივრცეებთან დაკავშირებულ პრობლემურ საკითხებზე.

ახალგაზრდა ჰუმანისტთა ასოციაცია

არასამთავრობო ორგანიზაცია "ახალგაზრდა ჰუმანისტთა ასოციაციის" მიზანია ხელი შეუწყოს ქვეყანაში დემოკრატიული ღირებულებების განვითარებას და ახალგაზრდების როლის გაზრდას სახელმწიფოში. ორგანიზაცია თბილისში ფუნქციონირებს.

The project is co-financed by Solidarity Found "Support to Democracy Program 2016", within the framework of the Polish development cooperation program of the Ministry of Foreign Affairs of Poland.